ოქმი:**ო31. 3125139001**
თარიღი:**19/05/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის ოქმი №5

ქ. ლანჩხუთი

16. 05. 2025 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ჩახვაძე და ვერიკო კვირკველია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ქონების მართვის და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ორი საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 7 წევრი.

მომხრე ბიუროს 7 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო

კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

5. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 7 წევრი.

მომხრე ბიუროს 7 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 27 მაისი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 7 წევრი.

მომხრე ბიუროს 7 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2025 წლის 16 აპრილის NGOV 9 25 00009548 წერილის თანახმად, თავისი კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტის, კერძოდ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, შენახვის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 მარტის №9 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა და მასთან დაკავშირებით გამოავლინა, მუნიციპალიტეტის მხრიდან გასათვალისწინებელი შენიშვნები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სასკ-ის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის განმხილველ უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს, შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“ და აღნიშნული დაზუსტება აისახოს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემულ შესაბამის სამართლებრივ აქტებში, რომლითაც დარეგულირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 132-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილ ვადებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების მიზნით, განსახილველად წარმოგიდგენთ, ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც, რომლის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო

ქვითრის -ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 7 წევრი.

მომხრე ბიუროს 7 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალში შემოსულობები მობილიზებულია 9756073 ლარი, აქედან გრანტების სახით მიღებულია 5207052 ლარი, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 70078 ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისათვის 1703945 ლარი, სპეც ტრანსფერი (სტიქია)-2417403 ლარი. მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსებისათვის 354525 ლარი, მიზნობრივი მიმდინარე ტრანსფერი 450000 ლარი, სხვა კაპიტალური ტრანსფერი 206100 ლარი, მიზნობრივი სოციალური ტრანსფერი 5000 ლარი. შემოსავლები კაპიტალურის ჩათვლით 4549021 ლარი, მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადი 3464629 ლარი, ქონების გადასახადი 465402 ლარი, სხვა შემოსავლები 604067 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 413429 ლარი.

საანალიზო პერიოდში გაწეული იქნა 10130928 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის შტატით მომუშავეთა ანაზღაურებამ შეადგინა 2189262 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით გაიხარჯა 2378170 ლარი, აქედან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე-957280 ლარი. ოფისის ხარჯზე მიმართულია 322447 ლარი, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და შენახვის ხარჯებმა შეადგინა 764377 ლარი, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯმა შეადგინა 258027 ლარი, სუბსიდიის მუხლით დაფინანსებაზე მიმართულია 240000 ლარი, სოციალურ ღონისძიებებზე მიმართულია 218648 ლარი, სხვა ხარჯების მუხლით ხარჯმა 249152 ლარი შეადგინა. არაფინანსური აქტივების მუხლით გახარჯულია 4855695 ლარი, რაც გაწეული საკასო ხარჯის 47.9%-ია.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის აპრილის თვეში შემოსულობები მობილიზებულია 4939714 ლარი, მათ შორის შემოსავლები

(კაპიტალურის ჩათვლით) 1290638 ლარი. აქედან, დამატებითი ღირებულების გადასახადი - 1153420 ლარი. სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 161581 ლარი; მათ შორის, ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 137980 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 3649075 ლარი; მათ შორის - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 1007953 ლარი.

საანალიზო თვეში გაწეული იქნა 5448662 ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის, შტატით მომუშავეთა შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 772185 ლარი; საქონელი და მომსახურების მუხლზე მიმართულია 1113665 ლარი. მათ შორის, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე -360481 ლარი; ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებზე -96519 ლარი; ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 3236075 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვის და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს 2025 წლის 7 მაისს N 51 წერილით (კანცელარიის N **10/302512867-30**წ.) მომართა ა(ა)იპ „ ოდა ქეარი-ს (ს/კ 437373156) დირექტორმა ვერა წულაძემ რომელშიც ითხოვს ქ.ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N 37 - ში მდებარე უძრავი ქონების 239,17 კვ.მ. ფართის (ს/კ27.06.52.141.01.500) სასყიდლიანი სარგებლობით, ქირავნობის ფორმით გადაცემას. ზემოთ აღნიშნული ფართი ა(ა)იპ „ ოდა ქეარი“ -ს (ს/კ 437373156) 2022 წლის 19 სექტემბერს 2 წლის ვადით უსასყიდლო სარგებლობით უზუფრუქტის ფორმით 2024 წლის სექტემბერში ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა. ა(ა)იპ „ ოდა ქეარი“ ახორციელებს ბავშვთა ადრეული განვითარების ასევე პერსონალური ასისტენტის და შინმოვლის პროგრამების სერვისს. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა გაიცეს პირდაპირი განკარგვის წესით ქირავნობის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N 37- ში მდებარე უძრავი ქონება 239,17 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.06.52.141.01.500) და მის წლიურ ქირის ოდენობად განისაზღვროს საპრივატიზებო ღირებულების 198 750 (ასოთხმოცდათვრამეტი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარის 7% -ის ოდენობით რაც შეადგენს 13 912,5 (ცამეტი ათას ცრაას თორმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ხოლო ყოველთვიური ქირა შეადგენს 1 159,37 (ათას ასორმოცდაცხრამეტი ლარი და ოცდაჩვიდმეტი თეთრი), ხელშეკრულების ვადად განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წელი. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 7 წევრი.

მომხრე ბიუროს 7 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები არ განხილულა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი